



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 18

28 მაისი 2021 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტში გაზრდილი საავტომობილო საშუალებების რაოდენობის გამო, მოსახლეობის უსაფრთხოების თვალსაზრისით, არსებობს აუცილებლობა ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულის რიგ ქუჩებზე განხორციელდეს სიჩქარის იძულებით შემცირება, რა მიზეზითაც გზის სავალ ნაწილზე მოწყობილ უნდა იქნეს ხელოვნური უსწორმასწორობა და დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად

1. ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყოს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) რუსთაველის ქუჩაზე, ნინოშვილის ქუჩიდან ბათუმის ქუჩამდე, სიჩქარის იძულებით შემცირების მიზნით, მოწყობილ იქნეს ხელოვნური უსწორმასწორობა (1.18.) ერთი ზოლი სიგრძით 10 მ. და დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

- ხელოვნური უსწორმასწორობა (5.20) -2 ცალი;
- მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30 კმ სთ. (3.24) - 1 ცალი.

ბ) ჭავჭავაძის ქუჩაზე, აღმაშენებლის ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩამდე, სიჩქარის იძულებით შემცირების მიზნით, მოწყობილ იქნეს ხელოვნური უსწორმასწორობა (1.18.) 2 ადგილას, თითოეულის სიგრძე 11 მ. და დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

- ხელოვნური უსწორმასწორობა (5.20) - 4 ცალი;
- მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30 კმ. სთ. (3.24) -2 ცალი;
- ხელოვნური უსწორმასწორობა 1.16 - 2 ცალი.

გ) ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, ბორჯომის ქუჩის კვეთასთან, სიჩქარის იძულებით შემცირების მიზნით, მოწყობილ იქნეს ხელოვნური უსწორმასწორობა (1.18.) 2 ადგილას, თითოეული 10 მ. და დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

- ხელოვნური უსწორმასწორობა (5.20) -4 ცალი;
- მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა (3.24) -2 ცალი;
- ხელოვნური უსწორმასწორობა (1.16) – 2 ცალი;
- მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 50 კმ სთ (3.24) -2 ცალი.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემოსვანეთის მთავარ სამმართველოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247)

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი